



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/254

- 25 - სექტემბერი 2017 წ.

გ ა ლ ა წ ყ ვ ე ბ ი ლ ე ბ ა

„საერთო სასამართლოების (გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოსი) სისტემაში სატრანსპორტო საშუალებების საწვავით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 15 ივლისის №1/118 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. „საერთო სასამართლოების (გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოსი) სისტემაში სატრანსპორტო საშუალებების საწვავით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 15 ივლისის №1/118 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩანაცვალდეს შემდეგი რედაქციით:

„3. გამონაკლის შემთხვევაში, სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისა და შეუფერხებელი საქმიანობის უზრუნველსაყოფად, სასამართლოს თავმჯდომარის ან სასამართლოს მენეჯერის დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე უფლებამოსილია გამოეყოს საწვავის ლიმიტი სასამართლოს მოსამსახურის მფლობელობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის, როგორც არასაზარათე (ტალონური), ასევე საზარათე და ავტომატური გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების („აგაი“) სისტემის მეშვეობით.“

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი